

IWG-ს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დებულებები



თქვენი ბიზნესი მხარდაჭერისა და ნათელი მომავლისთვის

IWG-ში თავდაუზოგავად ვშრომობთ, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ ხელის შემშლელი ფაქტორები და შექმნილ რთულ დროში თქვენი ბიზნესის მართვა განაგრძოთ. ეს დოკუმენტი შევქმენით, რათა გაგაცნოთ ჩვენ მიერ მიღებული ზომები არსებული კრიზისის ფონზე.



მუშაობის სწრაფად განახლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა

თქვენს საჭიროებებზე მორგებული მოქნილი სამუშაო სივრცის გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს სწრაფად მოქმედების შესაძლებლობას.



უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა

უსაფრთხო, სასიამოვნო და უფრო ბედნიერი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.



დაგეხმარებით ახალ მომავალთან ადაპტირებაში

რისკის შემცირების შესაძლებლობა გლობალური მასშტაბით დისტანციური მუშაობის უზრუნველყოფით.

მუშაობის სწრაფად განახლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა

მზად ვართ დაგეხმაროთ რაც შეიძლება სწრაფად და ხარჯეფექტურად დაუბრუნდეთ სამუშაოს. შექმენით სამუშაო სივრცე, რომელიც მორგებულია თქვენს დღევანდელ მოთხოვნებზე და შეგიძლიათ შეცვალოთ მდგომარეობის ცვლილების შესაბამისად.



რეაგირებადი სამუშაო სივრცე

თუ თქვენს ოფისს შეზღუდული წვდომა აქვს ან დისტანციური მუშაობის შემოღება გსურთ, შეგვიძლია მოგაწოდოთ საჭირო სივრცე, როდესაც და სადაც გჭირდებათ.

- დაძლიეთ მშენებლობის შეფერხებები
- დაუყოვნებელი წვდომა, სადაც არ უნდა დაგჭირდეთ
- გამოყენებისთვის მზა, სრულად მოწყობილი და ბიზნეს ხარისხის Wi-Fi
- მოკლევადიანი ან გრძელვადიანი
- ნებისმიერი ზომის ოფისები და შეხვედრის ადგილები



მაქსიმალური მოქნილობა

რადგან მომავალი ცვალებადია, შეგვიძლია ისეთი სივრცე მოგაწოდოთ, რომელიც გჭირდებათ, რისკის ან ინვესტიციის გარეშე, რათა შეძლოთ ადაპტირება მოთხოვნილებების ცვლილებების შესაბამისად.

- დაშვებულია ნებისმიერი პირობა, თვიდან თვემდე დაწყებული და რამდენიმე წლიანი დამთავრებული
- კაპიტალის ხარჯებისა და წინასწარი შენატანის გარეშე
- პირადი ოფისიდან მთლიან სართულამდე, ერთი ადამიანიდან მთლიან გუნდამდე
- ზომაში გაზრდა ან სხვა მდებარეობაზე გადატანა
- ზომაში შემცირება კონტრაქტის განახლებისას
- დაიწყეთ მუშაობა ახლა და გადაიხადეთ მოგვიანებით



პირადი სახლის ოფისი

გაუწიეთ პროფესიონალური მხარდაჭერა თქვენს სახლიდან მომუშავე გუნდებს ვირტუალური სერვისების არსენალით, რომელიც ხელმისაწვდომია თვითურად.


- ბიზნეს მისამართი გადამისამართებადი ფოსტისთვის
- ადგილობრივი ტელეფონის ნომრები ზარებზე პასუხით
- ადგილობრივი სამუშაო სივრცის გამოყენების შესაძლებლობა ნებისმიერ დროს
- მოწყობა 24 საათის განმავლობაში

უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა


ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სამუშაო სივრცეში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქციის შემდეგი ზომები მივიღეთ. ჩვენს 3500 მდებარეობაზე გადაჭიმულ ქსელში შეგვიძლია უზრუნველყოთ უსაფრთხო სამუშაო გარემო, რომელიც აკმაყოფილებს დღევანდელ სტანდარტებს და უზრუნველყოფს მდგრად და ბედნიერ სამუშაო გარემოს სამომავლოდ.

ფიზიკური დისტანციის დაცვა


აქტიურად ვიღებთ ფიზიკური დისტანციის დაცვის ზომებს ჩვენს სამუშაო სივრცეში. ჩვენს შენობებში უსაფრთხო დისტანციის დასაცავად შემოვიღეთ მარტივი ტექსტური და გამოსახულებითი ნიშნები, რომლებიც ეხება ღია სივრცეების გამოყენებას, პირად ოფისებსა და შეხვედრის ოთახებს.



პირად ოფისებში შემცირდა მაგიდების რაოდენობა და განთავსდნენ მუდმივად ადგილი უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით.



შეხვედრის ოთახებში ადგილები დაშორებულია მეტი სივრცის შესაქმნელად და შემოღებულია ოთახში საათის ისრის მიმართულებით მოძრაობის პროტოკოლი.



ასევე, ღია სივრცეებში ფიზიკური დისტანციის დაცვას ვახდენთ.

ჩვენი სამუშაო სივრცის მომზადება

ჩვენი პერსონალისა და მომხმარებლების უსაფრთხოებისთვის ვიყენებთ იატაკის ლენტებსა და სტიკერებს, რათა სტუმრებს შევახსენოთ ფიზიკური დისტანციის დაცვისა და დაშორებული ადგილების წესების შესახებ.



მოცდის მანიშნებლები



დისტანციის დაცვის წახალისებისთვის განვათავსეთ მანიშნებლები ისეთ ადგილებში, როგორიცაა მისაღებები, სამზარეულოები და ლაუნჯები.



მიმართულების მაჩვენებლები

განვათავსეთ მიმართულების მაჩვენებლები სამოძრაო ზოლების შესაქმნელად, რომელიც ადამიანებს ჩვენს შენობებში ერთმანეთთან შეხების გარეშე გაადგილებაში დაეხმარება.



მოცდის მანიშნებლები

განვათავსეთ დისტანციის დაცვის ნიშნები ჩვენს ლიფტებშიც, რათა ხალხმა იცოდეს, სად უნდა იდგეს.



დაშორებული ადგილები

შემოვიღეთ დაშორებული ადგილები სხვებისგან ფიზიკური დისტანციის დაცვის მიზნით ჩვენს ოფისებში, შეხვედრის ოთახებსა და საერთო ადგილებში.



დეზინფიცირება

ჩვენს ყველა ცენტრში ხელმისაწვდომი გავხადეთ სადეზინფექციო საშუალებები, როგორიცაა სპირტის შემცველი ხელის სადეზინფექციო საშუალებები და სადეზინფექციო ხელსახოცები.




პირბადეები

აუცილებლობის შემთხვევაში, ჩვენს თანამშრომლებს და მომხმარებლებს მოეთხოვებათ პირბადის ტარება.

უსაფრთხო მუშაობის წახალისება

ჩვენი სამუშაო სივრცეებისთვის შევქმენით ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოსაჩენ ადგილებზე არის განთავსებული ჩვენი ცენტრის სტრატეგიულ წერტილებში.



დაგეხმარებით ახალ მომავალთან ადაპტირებაში

რადგან ბიზნესები ამცირებენ რისკს და სარგებლობენ დისტანციური მუშაობით, გადანაწილებული სამუშაო ძალები ახალი ნორმა იქნება. გახადეთ ბიზნესი მოქნილი და გადანაწილეთ სამუშაო ძალები ჩვენი სამუშაო სივრცის გადანაცვლებების პორტფელის გამოყენებით.

თქვენი გუნდების დისტანცირება

თქვენი ხალხის განსათავსებლად შესაძლოა მეტი სივრცე დაგჭირდეთ, სანამ ფიზიკური დისტანცირება ძალაში რჩება.

- აიღეთ მოკლევადიანი სივრცე ახლო მდებარეობაზე ან შექმენით გლობალური რეგიონალური ჰაბები სხვადასხვა ფუნქციებისთვის
- აიღეთ მეტი საოფისე სივრცე იმავე ცენტრში ან სხვა მდებარეობებზე
- აირჩიეთ საოფისე განლაგებების ფართო ასორტიმენტიდან

პროფესიონალური დისტანციური მუშაობის უზრუნველყოფა

ჩვენს პროფესიონალურ სამუშაო სივრცეზე წვდომის უზრუნველყოფა თქვენი გლობალური მასშტაბით მუშაობისთვის.

- ხალხისთვის სახლთან ახლო დისტანციიდან მუშაობისა და პროდუქტიულობის შენარჩუნების უზრუნველყოფა
- მდებარეობების ქსელი ქალაქის ცენტრსა და გარეუბნებში
- წევრობის გეგმები, თქვენთვის გამოყენებისთანავე გადახდის უზრუნველყოფით
- მოკლევადიანი გადანაცვლებები ან გრძელვადიანი კორპორატიული პროგრამები

პროფესიონალური, სახლიდან მუშაობის უზრუნველყოფა

შექმენით ძლიერი პროგრამა მთელი რიგი პროფესიონალური სერვისებით თქვენი სახლიდან მომუშავე პერსონალისთვის.

- ბიზნეს მისამართი გადამისამართებადი ფოსტისთვის
- ადგილობრივი ტელეფონის ნომრები ბარებზე პასუხით
- ადგილობრივი სამუშაო სივრცის გამოყენების შესაძლებლობა ნებისმიერ დროს





მხარდაჭერა ჩვენი საუკეთესო 15000 კაცისგან


დასუფთავების საკონტრაქტო თანამშრომლების,
საზოგადოების მენეჯერების, ტექნიკური უზრუნველყოფის
მენეჯერების, ანგარიშის დახმარების კოორდინატორების,
პროფესიონალი მიმღებების,
IT ინჟინერებისა და კიდევ ბევრი სხვა პროფესიონალის
ჩვენი სპეციალური გლობალური გუნდი აქ იმისთვისაა,
რომ სამუშაოზე დიდებული დღე გქონდეთ.



International Workplace Group

შეგვებმთან და ვნახოთ, რით შეგვიძლია დაგეხმაროთ

ჩვენი გამოცდილი მრჩეველები 24/7 მზად არიან დაგეხმაროთ
უფრო სწრაფად, ეფექტურად და პროდუქტიულად დაუბრუნდეთ
მუშაობას.



აფრიკა	+27 21 300 4350
APAC	+91 22 6786 9165
ევროპა	+492 113 8789809
LATAM	+52 55 9171 1111
NAM	+1 888-673-7850
UK	0800 756 2911

iwgplc.com